


# უნივერსიტეტი

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გაზეთი

№11 (18) 2012


## მაგისტრის ორმაგი ხარისხი თსუ სტუდენტებისთვის



მეორე წელია რაც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტსა და ფრიდრიხ შილერის იენის (გერმანია) უნივერსიტეტს შორის ერთობლივი სამაგისტრო პროგრამა ხორციელდება.

გვ. 2

## “ცხოვრება ტკივილის გარეშე”

სტუდენტური საქველმოქმედო კვირეული საქართველოში პალიატიური მოვლის სამსახურის მხარდასაჭერად 20 ნოემბერს დაიწყო. აქციის საორგანიზაციო ჯგუფში თსუ სტუდენტებთან ერთად არიან: ლალი მესხი; ნიკოლ ჟორდანია, “ნოე ჯგუფი”; საქველმოქმედო ორგანიზაცია “საქართველოს ამერიკელი მეგობრების” აღმასრულებელი დირექტორი ლენა კილაძე”.

გვ. 3

## „ვიქტორინა 2012“ – რვა საჯარო სკოლა ფინალში



2012 წლის 22 დეკემბერს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებელები ”ვიქტორინა 2012”-ში გამარჯვებულ სკოლას გამოავლენენ და წარმატებულ გუნდს სამახსოვრო ჯილდოებს და საჩუქრებს გადასცემენ. თუმცა, გამარჯვებამდე რამდენიმე ეტაპია გადასალახი.

გვ. 3

## „მე, მოქალაქე, სტუდენტი“

თბილისის სახელმწიფო უნივერსი-ტეტის სტუდენტთა ნაწილი ახალი პროექტის დაწყებას გეგმავს. პროექტს “მე, მოქალაქე, სტუდენტი” ჰქვია. მისი მიზანი თსუ-ში არსებული სტუდენტური ორგანიზაციების ერთგვარად “მრგვალი მაგიდის” გარშემო გაერთიანებაა, იმი-სათვის, რომ სტუდენტებისათვის საჭირბოროტო საკითხები და პრობლე-მები ერთობლივად, კოორდინირებული მუშაობის შედეგად გადაიჭრას. აქტუა-ლურ საკითხებთან მიმართებაში კი თსუ-ის სტუდენტთა დიდი ნაწილის ერთიანი პოზიცია შემუშავდეს.

გვ. 4

# იარე და აღმოაჩინე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი




## 95

იარე ჩვენთან ერთად

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი 95 წლის იუბილესთან დაკავშირებით ღონისძიებების ციკლს აგრძელებს.

5 ნოემბრიდან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში დაიწყო სტუდენტური შემეცნებითი პროექტი „სექტორი 12“. პროექტის მიზანია სათავგადასავლო ტურის მეშვეობით სტუდენტები უკეთ დაეუფლონ უნივერსიტეტის ისტორიას და შეიტყონ უფრო მეტი უნივერსიტეტის მოღვაწეების შესახებ.

პროექტი გულისხმობს უნივერსიტეტის პირველი კორპუსისა და მისი მიმდებარე ტერიტორიის დაყოფას პირობით 12 სექტორად. ყველა მსურველს გადაეცა საძიებო რუკა, რომელზეც დატანილია სექტორები, სექტორებში კი, უნივერსიტეტის ისტორიაა. წინასწარი მინიშნებებით სტუდენტები უნივერსიტეტის ისტორიულ ფაქტებზე დაყრდნობით შექმნილ სათავგადასავლო ამოცანებს ხსნიან, მინიშნებაზე პასუხით რუკაზე დატანილ ლოკაციის ადგილებს იპოვიან და დამალულ კოდებს მოიპოვებენ.

გაგრძელება მე-2 გვ.

# გზა თსუ-დან ევროპის უმაღლეს სასწავლებლებამდე

***უკვე ცნობილია, რომ სალერნოს უნივერსიტეტში გაცვლითი პროგრამის ფარგლებში 2012–2013 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისთვის თსუ-ს შვიდი სტუდენტი მიიღებს მონაწილეობას. შესარჩევ კონკურსში გამარჯვებულები არიან: გიორგი ანდღულაძე, თამარ ლექავა, ნინო შალამბერიძე და რუსუდან გრიგალაშვილი ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტიდან, ხოლო სალომე კაპანაძე ეკონომიკის და ბიზნესის ფაკულტეტიდან. შერჩეულია აგრეთვე ორი რეზერვი – სალომე ანთელავა და ვლადიმერ თოფჩიშვილი, ასევე ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტიდან. თუმცა, უცხოეთის უმაღლეს სასწავლებლებში გაცვლით პროგრამებში მონაწილეობის შესაძლებლობა ამით არ ამოიწურება.***

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და მსოფლიოს მრავალ წამყვან უნივერსიტეტებს შორის გაცვლით პროგრამებზე ხელშეკრულება პირველად 2006 წელს დაიდო და მას შემდეგ რამდენიმე ასეულმა თსუ-ს ბაკალავრიატის, მაგისტრატურის თუ დოქტორანტურის სტუდენტმა მიიღო ცოდნა ინგლისურ, ფრანგულ, გერმანულ თუ იტალიურენოვან უნივერსიტეტებში. შესაბამისად, გაცვლითი პროგრამით საქართველოში ჩამოვიდნენ და თსუ-ში მიიღეს განათლება ამავე უნივერსიტეტის სტუდენტებმაც. მარტო შარშან მსოფლიოს სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელში გაემგზავრა 50 თსუ-ელი, ხოლო უცხოეთიდან ჩამოვიდა 20 სტუდენტი.

გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად, პარტნიორი უნივერსიტეტები იღებენ ვალდებულებას, რომ მიწვეულ სტუდენტს უზრუნველყოფენ საცხოვრებელით და სტიპენდიით. იმისათვის, რომ თსუ სტუდენტი მოხვდეს გაცვლით პროგრამაში, მისი უცხო ენის ცოდნა უნდა შეესაბამებოდეს 2 დონეს, იმის მიხედვით თუ რომელ უცხოენოვან უნივერსიტეტში უნდა ცოდნის და მიღება. იმის გამო, რომ ხშირად სტუდენტს არ აქვს ენის ცოდნის დამადასტურებელი საერთაშორისო სერთიფიკატი, გაცვლით პროგრამაში მონაწილეობისთვის პირველ რიგში იგი აბარებს ენის ცოდნის შესამოწმებელ ტესტს, რომლის სტანდარტი განსაზღრულია ევროსაბჭოს და ევროკავშირის მიერ. ამ ტესტის წარმატებით ჩაბარების შემდეგ კი სტუდენტი ზეპირ გასაუბრებას გადის სპეციალურ შესარჩევ კომისასთან, რომელიც დაკომპლექტებულია როგორც უნივერსიტეტის, ასევე, უცხო ქვეყნის საკონსულოების წარმომაგენლებით და სხვა ექსპერტებით.

სტუდენტმა შესარჩევ კომისიას თავი უნდა მოაწონოს არა მხოლოდ ენის ცოდნით, არამედ უნდა დაასაბუთოს, რატომ უნდა წასვლა ამა თუ იმ უნივერსიტეტში და როგორ გამოიყენებს უცხოეთში შეძენილ ცოდნას.

სწორედ ამ ეტაპების გავლის შემდეგ ეძლევა „ვიზა“ სტუდენტს გაცვლითი პროგრამით უცხოეთში წასასვლელად.

წელს ინგლისურ, იტალიურ და გერმანულენოვან გაცვლით პროგრამაში მოხვედრის შესაძლებლობა აქვს დაახლოებით 60 სტუდენტს. ამისთვის უნივერსიტეტებში უკვე გამოცხადებულია კონკურსი.

გაგრძელება მე-2 გვ.

# „შემოდგომის ლეგენდის“ გამარჯვებულები გამოვლინდნენ

*სტუდენტური ლიტერატურული კონკურსის “შემოდგომის ლეგენდა” ჟიურიმ სამი საუკეთესო ნაშრომის ავტორი უკვე გამოავლინა. მათი ვინაობა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში დაჯილდოების საღამოზე გამოვლინდა, რომელიც 22 ნოემბერს გაიმართა. საუკეთესო მოთხრობების ავტორებმა უნივერსიტეტის მიერ დაწესებული ფულადი პრემია და კომპანია „ჯეოსელის“ სპეციალური პრიზები მიიღეს. პირველი საპრიზო ადგილის მფლობელი თსუ სტუდენტი დავით გორგილაძე („იანინა“) 1000 ლარით და კონკურსის სიმბოლოთი დაჯილდოვდა. მეორე ადგილის მფლობელი ასევე თსუ სტუდენტი დავით ბაბიაშვილი („ოზი – ჯადოქარი“) გახდა, რომელსაც 700 ლარი გადაეცა, ხოლო მესამე ადგილის მფლობელმა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტმა („თუ თქვენ გინდათ...“) რატი წერომემ 500 ლარი მიიღო.*

გაგრძელება მე-4 გვ.



*დავით გორგილაძე*

# გზა თსუ-დან ევროპის უმაღლეს სასწავლებლებამდე

*პირველი გვერდიდან*

* * *

საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტი აცხადებს კონკურსს III, IV, V სემესტრის ბაკალავრიატის და მაგისტრატურის I სემესტრის სტუდენტებისთვის 2013/2014 სასწავლო წლის (შემოდგომის სემესტრი) ინგლისურენოვანი სასწავლო სტიპენდიების მოსაპოვებლად. კერძოდ, თსუ სტუდენტს შეუძლია სწავლა გააგრძელოს საბაკალავრო სასწავლო მიმართულებების მიხედვით ტარტუს უნივერსიტეტში (ესტონეთი) – სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და იურიდიულ ფაკულტეტებზე; ლატვიის უნივერსიტეტში – სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა და ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტებზე; ვილნიუსის უნივერსიტეტში (ლიტვა) – სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა, ეკონომიკისა და ბიზნესის და იურიდიულ ფაკულტეტებზე; კომენიუსის უნივერსიტეტი ბრატისლავაში (სლოვაკეთი) – სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა, ეკონომიკისა და ბიზნესის და იურიდიული ფაკულტეტებზე; ვიადრინას ევროპული უნივერსიტეტში (გერმანია) – სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა, ეკონომიკისა და ბიზნესის და იურიდიულ ფაკულტეტებზე; ვიტაუტას მაგნუს უნივერსიტეტში (ლიტვა) – სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა, ეკონომიკისა და ბიზნესის, ზუსტ და საბუნებისმეტყველო, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და იურიდიულ ფაკულტეტებზე; პრაღის ჩარლზის უნივერსიტეტში (ჩეხეთი) – ჰუმანიტარულ მეცნიერებათა, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტებზე; მასარიკის უნივერსიტეტში (ჩეხეთი) – სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა, ეკონომიკისა და ბიზნესის და იურიდიულ ფაკულტეტებზე.

რაც შეეხება სამაგისტრო-სასწავლო მიმართულებებს, გაცვლითი პროგრამის შეთავაზება ასეთია: ვარშავის უნივერსიტეტი (პოლონეთი) – ეკონომიკისა და ბიზნესის და სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტები და ჰელსინკის უნივერსიტეტი (ფინეთი) – სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი.

კონკურსის I ეტაპი (ტესტირება) გაიმართა 2012 წლის 22 ნოემბერს 10 საათზე, საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკაში.

* * *

რაც შეეხება იტალიურენოვან გაცვლით პროგრამას. თსუ-ს სტუდენტებს როგორც ბაკალავრიატის, ასევე მაგისტრატურის, 2012/2013 აკადემიური წლის გაზაფხულის სემესტრისთვის შეუძლიათ კონკურსი გაიარონ სალერნოს (იტალია) უნივერსიტეტში მოსახვედრად. ამისთვის თსუ საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტი აცხადებს კონკურსს თსუ ჰუმანიტარული, ეკონომიკისა და ბიზნესის, ზუსტ და საბუნებისმეტყველო, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა და იურიდიული ფაკულტეტების ბაკალავრიატის II და III სასწავლო წლის და მაგისტრატურის პირველი კურსის სტუდენტებისთვის.

შესარჩევ კონკურსში მონაწილეობის მისაღებად აუცილებელი პირობაა იტალიური ენის ცოდნა.

* * *

კონკურსია გამოცხადებული გერმანულის მცოდნე სტუდენტებისთვისაც. საარლანდის (გერმანია) – უნივერსიტეტი სასწავლებლად იწვევს თსუ-ს ბაკალავრიატის, მაგისტრატურისა და დოქტორანტურის სტუდენტებს 2013 წლის გაზაფხულის სემესტრისათვის. კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ თსუ ყველა ფაკულტეტის ბაკალავრიატის III, IV, V, VI სემესტრისა და მაგისტრატურის I და II სემესტრის სტუდენტებს (ერთთვიანი ენის კურსები და სამთვიანი სტიპენდია), ასევე თსუ დოქტორანტებს (მოკლევადიანი კვლევითი სტიპენდია).

გისენის (გერმანია) უნივერსიტეტი კი იწვევს ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის სტუდენტებს 2013-2014 სასწავლო წლისათვის ერთსემესტრიანი სასწავლო სტიპენდიის მოსაპოვებლად. კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ თსუ იურიდიული, ეკონომიკისა და ბიზნესის და ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის მათემატიკის, ინფორმატიკის, ფიზიკის, გეოგრაფიის, აგრარული მეცნიერებების, ეკოტროპოლოგიისა და გარემოს მენეჯმენტის ბაკალავრიატის III, IV, V სემესტრის და მაგისტრატურის I და II სემესტრის სტუდენტებს.

რაც შეეხება იენის (გერმანია) უნივერსიტეტს, აქ კონკურსი გამოცხადებულია მხოლოდ ბაკალავრიატის III, IV, V სემესტრის სტუდენტებისთვის.

ფრიდრიჰ–შილერის სახელობის იენის უნივერსიტეტში ერთსემესტრიანი სასწავლო სტიპენდიების მოსაპოვებლად კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ თსუ იურიდიული, ეკონომიკისა და ბიზნესის, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა, ჰუმანიტარულ და ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ბაკალავრიატის III, IV, V სემესტრის სტუდენტებს.

თუმცა, თსუ-ს სტუდენტებისთვის უცხოეთში სწავლების შანსი მხოლოდ ამ გაცვლითი პროგრამით არ შემოიფარგლება.



* * *

უნივერსიტეტს ხელშეკრულება აქვს გაფორმებული ევროკომისიის პროგრამა ERASMUS MUNDUS-ს გაცვლითი პროგრამებზეც. ამ პროგრამით უცხოეთში უკვე გაემგზავრა 50-მდე სტუდენტი.

თსუ და პროგრამა ERASMUS MUNDUS 2013 წლიდან კვლავ განაახლებს გაცვლით პროგრამებს 4 ახალი პროექტის ფარგლებში, ყველა საფეხურის სტუდენტების, ახალგაზრდა მკვლევარებისა და უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალისთვის. სრულად დაფინანსებული გაცვლითი პროგრამები განხორციელდება ევროპის 35 უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში.

ევროკომისიის აღნიშნული პროგრამა მიზნად ისახავს ევროპული საუნივერსიტეტო სისტემის ხარისხის გაუმჯობესებას და მესამე ქვეყნებთან თანამშრომლობით ხელს უწყობს დიალოგს ხალხსა და კულტურებს შორის.

პირველი პროექტი არის ''მთელი ევროპა საზღვრებს მიღმა'', რომელშიც მონაწილეობას იღებს ბოლონიის უნივერსიტეტი (იტალია), რომელიც ამ პროგრამის კოორდინატორია, ხოლო თსუ არის თანაკოორდინატორი. ასევე კა-ფოსკარის (ვენეცია, იტალია); პავიას (იტალია); კარდიფის (დიდი ბრიტანეთი); გენტის (ბელგია); ლაიპციგის (გერმანია); ლუნდის (შვედეთი); ტურკუს (ფინეთი); პოიტიერის (საფრანგეთი) და ვარშავის (პოლონეთი) უნივერსიტეტები.

მეორე პროექტია ''ინტერ-აკადემიური ერასმუს მუნდუსი'', რომელშიც მონაწილეობს იაშის უნივერსიტეტი (რუმინეთი). იგი არის პროექტის კოორდინატორიც, ხოლო ამ პროექტის თანაკოორდინატორია კიევის მოჰილას აკადემია (უკრაინა). ამ პროექტის მონაწილე უნივერსიტეტებია: კარლ-ფრანცეზის უნივერსიტეტი (გრაცი, ავსტრია); ლილის და მონპელიეს მეცნიერებისა და ტექნოლოგიის უნივერსიტეტები (საფრანგეთი); ფრიდრიხ შილერის იენის (გერმანია); გრონინგენის (ჰოლანდია); იაგელონიის (კრაკოვი, პოლონეთი); ბატეი ბელის (სლოვაკეთი) და გრანადის (ესპანეთი) უნივერსიტეტები.

„შავ და კასპიის ზღვებს შორის“ პროექტში მონაწილეობენ მონპელიეს მეცნიერებისა და ტექნოლოგიის უნივერსიტეტი; ტალინის (ესტონეთი) ვინლიაუს გედემინოს ტექნიკური; მასარიკის (ჩეხეთი); პას ვასკოს (ესპანეთი); ტურინის პოლიტექნიკური (იტალია); ადამ მიცკევიჩის (პოლონეთი) და ანტვერპენის (ბელგია) უნივერსიტეტები.

ხოლო პროექტის ''სწავლების გაძლიერება ევროპის სამეზობლო პოლიტიკის ქვეყნებში სუფთა ტექნოლოგიებისა და კვლევითი საქმიანობების საშუალებით'' მონაწილენი არიან: ოლდენბურგის (გერმანია); ოულუს (ფინეთი); ვალენსიის პოლიტექნიკური (ესპანეთი); ლიმერიკის (ირლანდია); კრაკოვის იაგელონიის (პოლონეთი); ტურინის პოლიტექნიკური (იტალია), მინოს (პორტუგალია) და ბულგარეთის ქიმიური ტექნოლოგიებისა და მეტალურგიის უნივერსიტეტები.

უფრო დაწვრილებით ERASMUS MUNDUS-ის პროექტებთან დაკავშირებით, 5 დეკემბერს 15 საათზე თსუ სააქტო დარბაზში გაიმართება საინფორმაციო შეხვედრა საქართველოში აკრედიტებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ყველა საფეხურის სტუდენტების, ახალგაზრდა მკვლევარებისა და აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალისთვის. შეხვედრას დაესწრებიან ევროკომისიის მიერ დაფინანსებული ERASMUS MUNDUS-ის პროექტების WEBB – მთელი ევროპა საზღვრებს მიღმა და BACKIS – შავ და კასპიის ზღვებს შორის კოორდინატორები, ასევე ბოლონიის უნივერსიტეტის (იტალია) წარმომადგენელი ფრანჩესკა მალტაუროსა და მონპელიეს უნივერსიტეტის (საფრანგეთი) წარმომადგენელი კოლინ ვოლე.

უცხოეთში გაცვლითი პროგრამით წასვლის მსურველთ, საშუალება ექნებათ უშუალოდ პროექტის კოორდინატორებისგან მიიღონ სასურველი ინფორმაცია და დაგეგმონ უცხოეთში სწავლის პროცესი.

# მაგისტრის ორმაგი ხარისხი თსუ სტუდენტებისთვის

უკვე მეორე წელია რაც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტსა და ფრიდრიხ შილერის იენის (გერმანია) უნივერსიტეტს შორის ერთობლივი სამაგისტრო პროგრამა ხორციელდება. პროგრამის “საერთაშორისო საწარმოთა მართვა” (Managing International Enterprises) კურსდამთავრებულს მაგისტრის ერთდროულად ორმაგი ხარისხი ენიჭება. იენის უნივერსიტეტის მხრიდან მეცნიერებათა, ხოლო თსუ-ს მხრიდან ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის ხარისხი.

როგორც თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი აკაკი ხელაძე აღნიშნავს, ამ პროგრამით სახელმწიფო უნივერსიტეტი საზოგადოებას საერთაშორისო ცოდნის მიღების თვალსაზრისით ძალზე კარგ პროდუქტს სთავაზობს. მისი თქმით, საქართველოს საგანმანთლებლო სივრცეში პრაქტიკულად სულ რამდენიმე ორმაგი ხარისხის პროგრამა არსებობს, რომლითაც მაგისტრანტს ორი დიპლომის გარდა, ასეთივე დონის ცოდნის მიღება შეუძლია.

პროგრამის “საერთაშორისო კომპანიების მართვა'' გავლისას სტუდენტი შეისწავლის ორგანიზაციების ეკონომიკურ და ფინანსურ ანალიზს, ბაზრის მარკეტინგულ კვლევას და საფრთხეების ანალიზს, შეიძენს მოკლე და გრძელვადიანი საფინანსო გადაწყვეტილებების მიღების უნარებს და ა.შ. კურსი ორ აკადემიურ წელს მოიცავს. ერთი წლის განმავლობაში სტუდენტები სწავლებას თსუ-ში გადიან, სადაც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და იენიდან მოწვეული პროფესორების შერეული ჯგუფი უტარებთ სწავლებას. მეორე წელს სწავლა იენაში მიმდინარეობს. თუ პირველ წელს სწავლა მაგისტრანტებისთვის გერმანულთან ერთად ნაწილობრივ ინგლისურადაც არის შესაძლებელი, იენაში იგი გერმანულ ენაზეა.

აღნიშნულის გათვალისწინებით, სტუდენტების ხელშესაწყობად ეკონომიკის ფაკულტეტზე გერმანული ენის გაძლიერებული კურსი არსებობს, რომელიც 180 საათს მოიცავს. კურსს, რობერტ ბოშის ფონდთან გაფორმებული შეთანხმების საფუძველზე, თსუ-ში სპეციალურად მოვლენილი გერმანელი სპეციალისტი ატარებს.

ფაკულტეტის დეკანის თქმით, ამ გარემოებების გამო ერთი შეხედვით ამ პროგრამით სწავლება ცოტა რთული ჩანს, მაგრამ ამავე დროს იგი ისეთ უპირატესობას იძლევა, როგორიც ერთდროულად ორი ენის საფუძვლიანი ცოდნაა.

ამ პროგრამის წარმატებაზე, აკაკი ხელაძის შეფასებით ბოლო მონაცემებიც მეტყველებს. მიუხედავად იმისა, რომ იგი სულ მეორე წელია არსებობს, გასულ წელთან შედარებით მისი გავლის მსურველთა რაოდენობა გასამმაგებულია. დღეს ამ პროგრამით ფაკულტეტს უკვე 22 აქტიური მაგისტრანტი ჰყავს. გარდა ამისა, შეიცვალა სპექტრიც. ადრე თუ ამ პროგრამაზე ძირითადად თსუ ბაკალავრები მოდიოდნენ, დღეს მის სტუდენტებს შორის სხვა უნივერსიტეტების, მათ შორის თავისუფალი უნივერსიტეტისა და კავკასიის ბიზნეს სკოლის კურსდამთავრებულები არიან.

„საერთაშორისო საწარმოთა მართვაზე'' სწავლების საფასური წელიწადში 3000 ევროა. მაგისტრანტის სემესტრული შედეგებიდან გამომდინარე პროგრამაში გათვალისწინებულია მისი დაფინანსება, გარდა ამისა სტუდენტებს დამატებით „დაადის“ (გერმანიის აკადემიური გაცვლის სამსახური) სტიპენდიების მოპოვების შესაძლებლობა აქვთ, რაც გადასახადის ოდენობას მნიშვნელოვნად ამცირებს.

# სიახლეები

20 ნოემბერს ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან ერთად აშშ-ის საელჩოს საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილებამ უმასპინძლა ამერიკის შესწავლის ინსტიტუტის მიერ ორგანიზებულ ვირტუალურ სალექციო კურსს თემაზე – “ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკა''. ვირტუალურ ლექციაზე ისაუბრეს აშშ-ის საგარეო პოლიტიკაზე კავკასიაში. ამ თემის შესახებ სასაუბროდ მოწვეული იყო აშშ-ის ელჩის მოვალეობის შემსრულებელი, ბრიჯიტ ბრინქი.

* * *

16 ნოემბერს ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში აკადემიკოს მარიამ ლორთქიფანიძის დაბადებიდან 90 წლის იუბილესადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია გაიმართა: „ისტორიული რეპრეზენტაცია: თეორიული მიმართულებანი და კონკრეტული კვლევები.“ კონფერენციაზე ქართველი და მსოფლიოს სხვადასხვა უნივერსიტეტების მეცნიერებმა სხვადასხვა თემაზე წაიკითხეს მოხსენებები.

* * *

14 ნოემბერს ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ „საქართველოს ეროვნულ არქივს“ შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა. მემორანდუმის მიზანია ეროვნული არქივის საქმიანობის შესახებ თსუ სტუდენტების ინფორმირება, მხარეთა მიერ ერთობლივი პროექტების მომზადება-განხორციელება და ინსტიტუციური მიზნების მიღწევის ხელშეწყობა.

* * *

14 ნოემბერს ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართა საერთაშორისო კონფერენცია: „ევროკავშირის, ცენტრალური აზიის და სამხრეთ კავკასიის ქვეყნების თანამშრომლობა მეცნიერების, ტექნოლოგიების განვითარების და ინოვაციების სფეროში საზოგადოებრივი გამოწვევების საპასუხოდ: პრიორიტეტები, ნაირსახეობა და სინერგია პოლიტიკასა და საშუალებებს შორის''.

# „ვიქტორინა 2012“ – რვა საჯარო სკოლა ფინალში

***2012 წლის 22 დეკემბერს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებლები "ვიქტორინა 2012"-ში გამარჯვებულ სკოლას გამოავლენენ და წარმატებულ გუნდს სამახსოვრო ჯილდოებს და საჩუქრებს გადასცემენ. თუმცა, გამარჯვებამდე რამდენიმე ეტაპია გადასალახი.***

თსუ-ში საბავშო უნივერსიტეტის ჩამოყალიბების შემდეგ, ბევრი ფაკულტეტი, მათ შორის ზუსტ და საბუნებისმეტყველო ფაკულტეტიც, ხშირად ატარებს შეხვედრებს და კონფერენციებს "ნორჩ სტუდენტებთან", ანუ სკოლის მოსწავლეებთან. სწორედ საბავშვო უნივერსიტეტის ფარგლებში, გასულ წელს, პირველად თსუ ზუსტი და საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის გეოგრაფიის დეპარტამენტმა სკოლის მოსწავლეებისთვის გეოგრაფიაში ჩაატარა ვიქტორინა. წარმატებული შედეგიდან გამომდინარე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე გაჩნდა სურვილი, ჩატარებულიყო მასშტაბური ვიქტორინა, რომელიც ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ყველა საგანს მოიცავდა. ასე დაიბადა "ვიქტორინა 2012" -ის იდეა, სადაც მონაწილეობის მიღება შეეძლო საქართველოს ნებისმიერი საჯარო თუ კერძო სკოლების X-XII კლასების მოსწავლეებისგან შემდგარ გუნდებს. თუმცა, ამისათვის მათ ჯერ შესარჩევი კონკურსი უნდა გადაელახათ. ამგვარი შერჩევის გზით საბოლოოდ ვიქტორინაში მონაწილეობის უფლება მხოლოდ 20 სკოლის გუნდმა მოიპოვა.

17 ოქტომბერს კი თსუ-ში შერჩეულ სკოლებს შორის ნახევარფინალური ტური გაიმართა. საბოლოო გამარჯვებისთვის ბრძოლის უფლების მისაღებად ვიქტორინაში მონაწილე მოსწავლეებს უნდა ეპასუხათ წინასწარ შერჩეული კითხვებისთვის, რომლებიც შედგენილი იყო ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერების ყველა საგანიდან: ქიმიიდან, ფიზიკიდან, მათემატიკიდან, ბიოლოგიიდან და გეოგრაფიიდან. კითხვათა სირთულიდან გამომდინარე, შეფასების სისტემაც სხვადასხვა იყო - 1, 3 და 5 -ბალიანი.

დაძაბული შეჯიბრების შემდეგ ფინალურ ეტაპზე გადასვლის უფლება 20-დან რვა სკოლამ მოიპოვა: თბილისის 52–ე, 173–ე, 128–ე საჯარო სკოლამ, კლასიკურმა გიმნაზიამ, კერძო სკოლამ "ჯი-ელ-სი", ჭიათურის №1, იყალთოს და ვაზისუბნის საჯარო სკოლებმა.

როგორც თსუ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა დოქტორი რუსუდან ინწკირველი განმარტავს, "ვიქტორინა 2012"-ს ორმაგი დატვირთვა აქვს. ჯერ ერთი მოსწავლეები აჯამებენ სკოლაში მიღებულ ცოდნას და ღიად ხედავენ ამ საგნების ცოდნაში არსებულ ხარვეზებს და მეორეც, ვიქტორინით ხდება როგორც ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერების, ასევე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პოპულარიზაცია.

"ჩვენი მთავარი მიზანია, მოხდეს საბუნებისმეტყველო საგნების პოპულარიზაცია, რომ მოსწავლეებს ამ საგნებისადმი ინტერესი გავუღვიძოთ, მიხვდნენ, რამდენად მნიშვნელოვანი და პერსპექტიულია ეს საგნები ქვეყნის აღმშენებლობის კუთხით, რომ უფრო მეტად მოტივირებულნი მოვიდნენ უნივერსიტეტში," – ამბობს რუსუდან ინწკირველი, რომელიც საბავშვო უნივერსიტეტის მიღწევად მიიჩნევს იმას, რომ მოსწავლეები, რომლებიც აქტიურად არიან ჩართულები საბავშვო უნივერსიტეტში, შემდეგ უკვე უმაღლეს სასწავლებლად სწორედ თსუ-ს ირჩევენ.

# "ცხოვრება ტკივილის გარეშე"

„მედიცინის ფაკულტეტზე ვსწავლობ და შესაბამისად ვიცი რა მდგომარეობაში არიან მოხუცები და ის ხალხი, ვისაც პალიატიური მზრუნველობა სჭირდება. თუმცა, ამ აქციაში ჩართვა ჩემი პროფესიის კი არა, უბრალო ადამიანური მოვალეობის გამო გადავწყვიტე. ეს აქცია უნივერსიტეტის ფარგლებში კი ტარდება, მაგრამ ჩემი აზრით, მხოლოდ სტუდენტებზე არა არის გათვლილი და საყოველთაოა. ამ უმწეო ხალხის დახმარება ერთგვარად ჩემი პირადი ინტერესია, რადგან არავინ იცის რა ელის მომავალში. შესაძლოა ოდესმე ასეთ მდგომარეობაში მე ან ნებისმიერი ჩვენაგანი აღმოჩნდეს". – ასეთი მოტივაცია ჰქონდა აქციაში, "ცხოვრება ტკივილის გარეშე", მონაწილეობის მისაღებად თსუ მედიცინის ფაკულტეტის მეექვსე კურისის სტუდენტ გიორგი ჩადუნელს.

პალიატიური მზრუნველობა ქრონიკული უკურნებელი დაავადების მქონე პაციენტების, უმწეო მოხუცების და მათზე მზრუნველი პირების სამედიცინო, სოციალურ და ფსიქოლოგიურ დახმარებას გულისხმობს. სტუდენტური საქველმოქმედო კვირეული საქართველოში პალიატიური მოვლის სამსახურის მხარდასაჭერად 20 ნოემბერს დაიწყო. აქციის საორგანიზაციო ჯგუფში თსუ სტუდენტებთან ერთად არიან: ლალი მესხი; ნიკოლ ჟორდანია, "ნოე ჯგუფი"; საქველმოქმედო ორგანიზაცია "საქართველოს ამერიკელი მეგობრების" აღმასრულებელი დირექტორი ლენა კილაძე".

"პალიატიური მზრუნველობის ცენტრში შობის ბრწყინვალე დღესასწაულს რამდენიმე ათეული ადამიანი ლოგინს მიჯაჭვული ხვდება. თითოეულ მათგანს სჯერა შობის სასწაულის და სურს ტკივილის გარეშე შეხვდეს შობას. გახდი საქველმოქმედო აქციის მონაწილე და შეიტანე შენი წვლილი პატარა სასწაულის მოხდენაში". – ამგვარი ტექსტი გავრცელდა ღონისძიების ორგანიზატორების მიერ აქციის მხარდასაჭერად. ფერიცვალების დედათა მონასტერთან არსებულ მოწყალების ცენტრისთვის შემოწირულობის შესაგროვებლად განკუთვნილი ყუთები თსუ I, II, V, VIII და X (მაღლივი) კორპუსებში განთავსდა. ეს ცენტრი 2003 წლიდან ახორციელებს პალიატიურ მზრუნველობას, რომლის ფარგლებშიც ასობით უმწეო ადამიანს უვლის და უმსუბუქებს ყოფას.

"პალიატიური მზრუნველობა ერთ-ერთია იმ მნიშვნელოვან საკითხებს შორის, რომელზეც საქართველოში საზოგადოების ყურადღების მაქსიმალურად მიქცევაა საჭირო. მძიმე ავადმყოფთა, მოხუცებულთა, საერთოდ – უმწეოთა დასახმარებლად ცალკეული ორგანიზაციის ძალისხმევა არაა საკმარისი". – აცხადებს აქციის ერთ-ერთი ორგანიზატორი, ორგანიზაცია "საქართველოს ამერიკელი მეგობრები" აღმასრულებელი დირექტორი ლენა კილაძე. ეს ორგანიზაცია უკიდურესი გაჭირვების მქონე ხალხის დასახმარებლად სხვადასხვა სახის აქტივობას უკვე 18 წელია ეწევა. ცნობისათვის, ამავე ორგანიზაციის ხელშეწყობით შეიქმნა ასევე ფერიცვალების დედათა მონასტერთან არსებული მოწყალების ცენტრიც.

აქციის სხვა თანაორგანიზატორ, გაეროს განვითარების პროგრამის წარმომადგენელ ლალი მესხისთვის, რომელიც სხვადასხვა საქველმოქმედო ღონისძიებებში აქტიურად 1993 წლიდანაა ჩართული, ავადმყოფობით დაუძლურებული მოხუცების საკითხი უფრო აქტუალური ორი წლის წინ გახდა, როდესაც პალიატიური დახმარება მისი ოჯახის წევრს დასჭირდა. "მანამდე უფრო მეტად ისეთ აქტივობებში ვიყავი ჩართული, რომელიც ბავშვების დახმარებაზე იყო მიმართული. ახლა უკვე პირად მაგალითზე ვიცი, რომ უმწეო და ავადმყოფ მოხუცს ზუსტად ისეთივე ყურადღება და მზრუნველობა სჭირდება, როგორიც ბავშვს. სამწუხაროდ დღეს ძალზე ბევრ ადამიანს სჭირდება ასეთი დახმარება, რისი საშუალებაც სხვადასხვა მიზეზების გამო არ აქვთ. ყველას როდი შესწევს უნარი მომვლელის ფული გადაიხადოს". მისი თქმით, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი და სტუდენტებიც აქციის მონაწილეებად და თანაორგანიზატორად კონკრეტული მიზეზით შეირჩნენ. ახალგაზრდობა, ის ძალაა, რომელსაც დიდი ენერგია, ენთუზიაზმი და პოტენციალი აქვს. სტუდენტებს ძალზე ბევრი რამის გაკეთება შეუძლიათ, თუ კი ამის სურვილი და მზაობა ექნათ.

უმწეოთა, პალიატიური სამსახურის მეშვეობით დახმარების სურვილი საკმაოდ ბევრ სტუდენტს აღმოაჩნდა. ამაში ლალი მესხი თსუ-ში აქციამდე გამართულ წინასწარ შეხვედრაზე დარწმუნდა. სტუდენტების გარკვეულ ნაწილს მოხუცების დასახმარებლად სხვადასხვა იდეებიც კი გაუჩნდათ. მაგალითად, მათ მოსავლელად პალიატიური მზრუნველობის ცენტრებში, ან საცხოვრებელ ადგილებზე მისვლა, ან მოხუცებულთათვის სურვილების ასრულების დღე შეიძლება მოაწყონ.

# თვალჭრელიძის ინსტიტუტი პრაქტიკანტების მოლოდინში

თსუ შემადგენლობაში არსებული კავკასიის ალექსანდრე თვალჭრელიძის მინერალური ნედლეულის ინსტიტუტი იმ ორგანიზაციებს შორისაა, ვისი სახელიც საზღვარგარეთ კარგადაა ცნობილი. თავის დროზე ინსტიტუტი ერთ-ერთი იყო დსთ-ს მასშტაბით ბუნებრივი წიაღისეულის შესწავლის მიზნით შექმნილი 6 ინსტიტუტიდან. ამიერკავკასიაში ის ერთადერთ ამგვარი ტიპის ორგანიზაციად რჩება. ინსტიტუტი "საერთაშორისო ბიზნესმენთა ასოციაციის" (აშშ) მიერ უკვე წლების განმავლობაში სახელდება და იმარჯვებს ნომინაციაში – "ბიზნესის განვითარებაში შეტანილი წვლილისათვის". იგივე ნომინაციაზეა წარდგენილი იგი 2013 წელსაც. ცნობისათვის, იგი ერთადერთი ინსტიტუტია საქართველოში, რომელიც "მერსედესის", "მოტოროლას", "ნასას" მსგავსად მსოფლიოს ბიზნეს-კონფედერაციის ელიტარული წევრია და მუდმივი ხმის უფლებით სარგებლობს.

ბუნებრივია, რომ ამგვარი აღიარება მეტწილად ინსტიტუტის პროფესიონალი კადრების დამსახურებაა. თუმცა, უკვე სტაჟიანი კადრების შენარჩუნების პარალელურად ინსტიტუტის ხელმძღვანელობა აქცენტს ახალი რესურსების მიზიდვაზეც აკეთებს. როგორც ინსტიტუტის დირექტორი

***გაგრძელება მე-4 გვ.***

**95**

**იარე ჩვენთან ერთად**

# იარე და აღმოაჩინე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

***პირველი გვერდიდან***

თითოეული მონაწილე კი, კოდის სანაცვლოდ მიიღებს პროექტის სიმბოლოს, რომელიც ფინალში მოხვედრის საგზური იქნება.

პირველივე სექტორში მონაწილეებმა უკვე გადაინაცვლეს XX საუკუნის დასაწყისში, აქედან დაიწყო მათი მოგზაურობა უნივერსიტეტის ისტორიის კვალდაკვალ.

„ადგილი სკოლისათვის, სივრცით 12 დღიური, უკვე ნაყიდია ვერაზე და სახლის აგებისთვის ფული გროვდება. ეს საქმე მთლიანად იკისრა თავის თავზე ბატონმა ნიკო ცხვედაძემ“, - პირველი ქართული გიმნაზიის დაარსების იდეა საზოგადოებას ჟურნალმა „მოამბემ“ 1899 წლის პირველ ნომერში ამცნო. შემდეგ იყო ნიკო ცხვედაძის და უნივერსიტეტის დამფუძნებლების შეხვედრები მეცენატებთან თანხის მოძიების თაობაზე, რომელიც გიმნაზიის შენობის აგებისათვის იყო აუცილებელი.

სამუშაოების დაწყებამდე საძირკველში საგანგებოდ ამოშენებულ ნიშაში ხუთი ბოთლი და ერთი ქილა ჩადეს. ამათგან სამ ბოთლსა და ქილაში განათავსეს 1900 წლის პერიოდულ გამოცემათა („ივერია“, „კვალი“, „ცნობის ფურცელი“, „ჯეჯილი“, „მოამბე“ და სხვ.) ნომრები და სხვადასხვა წესდებულებები. აგრეთვე კახური სამარკო ღვინოები. ეს ნიშა და მასში განთავსებული ნივთები 1973 წლის 24 ოქტომბერს უნივერსიტეტის მინაშენის სამუშაოებისას იქნა აღმოჩენილი, რომელსაც დღეს უნივერსიტეტის მუზეუმი ინახავს.

მშენებლობის პარალელურ რეჟიმში ხუროთმოძღვარი სვიმონ კლდიაშვილი უნიკალური შენობის ნახაზებს ქმნიდა.

გამოცდილი ხუროთმოძღვარი შენობის დაგეგმვას ისე შეუდგა, რომ ყველა დეტალი წინასწარ ჰქონდა განსაზღვრული. ეს უნდა ყოფილიყო ყველა სხვა შენობისგან გამორჩეული ქმნილება თავისი მასშტაბურობით და სილამაზით. ხუროთმოძღვრის ჩანაფიქრით ქართულ გიმნაზიას ანბანის მე-14 სიმბოლოს ო ასობგერის ფორმა აქვს - ცენტრალური ნაწილითა და ორი განაპირა განშტოებით. დასრულებულ პირველ ქართულ უნივერსიტეტს შემქმნელი ვარაზისხევის გადაღმა, ფიქრის გორაზე მდებარე საკუთარი სახლიდან ადევნებდა თვალს.

1918 წელს უნივერსიტეტი საზეიმოდ გაიხსნა, 13 იანვარს კი, უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭოს ივანე ჯავახიშვილმა რექტორობის კანდიდატი - პეტრე მელიქიშვილი წარუდგინა.

30 იანვარს უნივერსიტეტში პირველი ლექცია გაიმართა. პროფესორი ივანე ჯავახიშვილი მსმენელს „ადამიანის პიროვნებასა და მის მნიშვნელობაზე ძველ ქართულ საისტორიო-საფილოსოფოსო მწერლობასა და ცხოვრებაში“ ესაუბრა.

გადაწყდა, რომ თავდაპირველად დაარსებულიყო მხოლოდ ერთი – სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტი, რომელიც გააერთიანებდა ჰუმანიტარულ დარგებს, აგრეთვე, ბუნებისმეტყველებასა და მათემატიკას. დეკემბრის ბოლოს პრესაში უკვე გაჩნდა განცხადება ქართულ უნივერსიტეტში სტუდენტების მიღების შესახებ.

„ჩავეწრე სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტზე, მახსოვს, მინდოდა ყველა ლექციის მოსმენა, აკაკი შანიძის ლექციით დავიწყე...“, - წერს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველი სტუდენტი მედეა ღამბაშიძე თავის დღიურში.

ყველა ამ მოვლენის შესახებ, რომელიც უნივერსიტეტის ისტორიაა და უკვე 95 წელს ითვლის, სტუდენტები ეტაპობრივად შეიტყობენ. სათავგადასავლო ტური წარსულში მოგზაურობას გულისხმობს, ამასთან თითოეული მონაწილე ყველაფერ იმ უნიკალურს იხილავს, რასაც უნივერსიტეტი ინახავს, იქნება ეს რარიტეტული გამოცემებითა და ხელნაწერებით მდიდარი წიგნთსაცავი, ცნობილი მხატვრების ნახატები თუ ხელნაკეთი ნივთები, არქეოლოგიური მასალა და სხვა.

ეს არის კოლექტიური საგანმანათლებლო მეხსიერება, რომელსაც ცოდნის ტაძარში აქვს თავი მოყრილი. და ჩვენ ვამბობთ - ჩვენ ვართ პირველი ქართული უნივერსიტეტი, 1918 წლიდან ჩვენ დავიწყეთ სვლა, გთავაზობთ შემოგვიერთდეთ - იაროთ ჩვენთან ერთად და აღმოაჩინოთ უფრო მეტი უნივერსიტეტის შესახებ.

2 დეკემბერს, პროექტის დასარულს ყველა სიმბოლო შეერთდება და კიდევ ერთი სათავგადასავლო ამოცანის ამოხსნის შემდეგ, ერთი გამარჯვებული პროექტის მთავარ პრიზს - 1000 ლარს მიიღებს.



# თვალჭრელიძის ინსტიტუტი პრაქტიკანტების მოლოდინში

*მესამე გვერდიდან*

რევაზ კვატაშიძე აღნიშნავს, მის თანამშრომლებს შორის სხვადასხვა პროფილის სპეციალისტები არიან, რომლებიც თავის დროზე მათ სხვადასხვა ინსტიტუტებიდან გადმოიბირეს: ქიმიკოსები, გეოლეგები, ტექნიკოსები. ასევე ის ახალგაზრდა კადრები, რომლებიც მათთან პრაქტიკანტების სახით მივიდნენ, შემდეგ კი უკვე ჩამოყალიბებულ სპეციალისტებად სხვადასხვა თანამდებობაზე სამუშაოდ დარჩნენ. მას შემდეგ, რაც ინსტიტუტი სახელმწიფო უნივერსიტეტს შემოუერთდა, ინსტიტუტის ხელმძღვანელობა აქცენტს უკვე კადრების თსუდან მიზიდვაზე აკეთებს.

დაახლოებით ერთი წლის წინ ინსტიტუტის დირექტორმა თსუ ზუსტი და საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის გეოლოგიის მიმართულების ხელმძღვანელობას პრაქტიკანტების სახით რამდენიმე სტუდენტის შერჩევის თხოვნით მიმართა. დაინტერესებულ სტუდენტთა რაოდენობა მოსალოდნელზე ბევრად მეტი აღმოჩნდა, ბიჭების გარდა საკამაოდ ბევრი გოგონაც. თუმცა, როგორც რევაზ კვატაშიძე ამბობს, იმედი ვერც ერთ მსურველს ვერ გაუცრუა. ახლა თვალჭრელიძის ინსტიტუტში, 5-6 მესამეკურსელის ნაცვლად პრაქტიკებზე 20-მდე სტუდენტს ელიან.

ინსტიტუტში 11 განყოფილებაა, რომელიც სხვადასხვა კუთხით წიაღისეულის შესწავლის საკითხს ემსახურება. მათ სპეციფიკას სტუდენტებს თავად განყოფილებების გამგეები გააცნობენ, რის შემდეგაც თითოეულს მისთვის საინტერესო მიმართულების არჩევა შეუძლია. ეს არის მყარი სასარგებლო წიაღისეულის კვლევის, გეოლოგიური კარტირების, თუ სულაც ანალიტიკური განყოფილება. საინტერესო ის არის, რომ ინსტიტუტი მათ საკუთარი ბიუჯეტიდან მცირე სტიპენდიასაც კი აძლევს.

მართალია, სტუდენტებს მიმართულება და სპეციალობა თავის სურვილის მიხედვით შეუძლიათ შეარჩიონ, რევაზ კვატაშიძის შეფასებით, თითოეულს პროფესიონალად ჩამოყალიბების შემთხვევაში ინსტიტუტში დასაქმების რეალური პერსპექტივა აქვს. საერთოდ სტუდენტების ამგვარი სახით ინსტიტუტში მიზიდვა მისი აზრით, სასურველი კადრების გამოზრდის კარგი საშუალებაა. ამ ეტაპზე, მინერალური ნედლეულის ინსტიტუტის ხელმძღვანელობას პრიორიტეტად მადნეულ-გენეოლოგიის სფეროს სერიოზულ მცოდნეთა გამოზრდა მიაჩნია.

# სიახლეები

* * *

12 ნოემბერს ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში საინფორმაციო შეხვედრა გაიმართა, რომელიც ტემპუსის პროგრამის ფარგლებში ახალი საკონკურსო განაცხადების წარდგენას ეძღვნებოდა.

ევროკავშირის საუნივერსიტეტო თანამშრომლობის პროგრამა თემპუს-ი ქართულ უნივერსიტეტებს საშუალებას აძლევს ევროპელ პარტნიორებთან ერთად შეიმუშავონ ახალი საგანმანათლებლო პროგრამები და განახორციელონ უმაღლესი განათლების რეფორმა ბოლონიის პრინციპების შესაბამისად. პროექტების მოცულობა 0,5 – 1,5 მილიონ ევროს შორის მერყეობს.

* * *

9 ნოემბერს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართა გურამ შარაძის ხსოვნისადმი მიძღვნილი საღამო. საღამოს ფარგლებში სტუმრებმა დაათვალიერეს თსუ ქართული ემიგრაციის მუზეუმი. ნაჩვენები იქნა გურამ შარაძისადმი მიძღვნილი დოკუმენტური ფილმი „ერის ისტორიული მეხსიერების დაბრუნება“.

* * *

8 ნოემბერს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში რეჟისორ მერაბ კოკოჩაშვილის სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმის „ღვინის აკვანი“ ჩვენება გაიმართა. ფილმი მოგვითხრობს ქართველების როლზე ვაზისა და ღვინის კულტურის შექმნასა და ჩამოყალიბებაში. მაყურებელმა ეკრანზე იხილა ღვინის შესახებ მოპოვებული ისტორიული მასალა და ღვინის წარმოების პროცესის ამსახველი კადრები.

* * *

8 ნოემბერს ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ლივიო ძერბინის, გელა გამყრელიძის, თემურ თოდუა წიგნის „რომაელები ოქროს საწმისის ქვეყანაში“ პრეზენტაცია გაიმართა.

„რომაელები ოქროს საწმისის ქვეყანაში“ იტალიურ ენზეა და ეძღვნება საქართველო-რომის იმპერიის მრავალსაუკუნოვან (ძვ.წ. I- ახ.წ. IV სს.) ურთიერთობათა პერიპეტიებს.

* * *

6 ნოემბერს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ნაციონალურმა ცენტრმა ჩაატარა საერთაშორისო კონფერენცია „მედიაციის განვითარების თანამედროვე პერსპექტივები“.

* * *

3 ნოემბერს ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ამერიკული წიგნის კლუბის პრეზენტაცია გაიმართა. ღონისძიებას თსუ რექტორი ალექსანდრე კვიტაშვილი, ტენესის ბიბლიოთეკის მეგობართა ჯგუფის წევრები: სტეფენ მოსლი, სტივ ჰილისი და თსუ წარმომადგენლები დაესწრნენ.

ამერიკული წიგნის კლუბი ქართულ-ამერიკული პროექტია, რომელსაც საფუძველი გასულ წელს ჩაეყარა.

# „შემოდგომის ლეგენდის“ გამარჯვებულები გამოვლინდნენ

*პირველი გვერდიდან*

სტუდენტური ლიტერატურული კონკურსი „შემოდგომის ლეგენდა“ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და კომპანია „ჯეოსელის“ ერთობლივი პროექტია, რომელიც უკვე მეოთხე წელია იმართება და მისი მიზანია ნიჭიერი თაობის აღმოჩენა და მათთვის გზის გაკვალვა. ლიტერატურული კონკურსი ორ ეტაპად განხორციელდა. პირველმა ტურმა სტარტი 17 სექტემბერს აიღო და სამი კვირის განმავლობაში ტარდებოდა. კონკურსში მონაწილეობას თბილისში აკრედიტირებული სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტები იღებდნენ. 196 კონკურსანტიდან შიდაშესარჩევმა ჟიურიმ 10 ფინალისტი გამოავლინა. ფინალისტებს შორის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 6, თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის 2, თავისუფალი უნივერსიტეტისა და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის თითო წარმომადგენლები იყვნენ. მეორე ეტაპზე ფინალისტები კახეთში, ქართულ შატოში გაემგზავრნენ, სადაც იმპროვიზაციული ტური გაიმართა. „მერეში“ სტუდენტებთან ერთად იმპროვიზაციულ ტურს კონკურსის ლიტერატურული ჟიურის წევრებიც დაესწრნენ. ჟიურის შემადგენლობაში თანამედროვე ქართველი მწერლები: დავით ტურაშვილი, თეონა დოლენჯაშვილი, მაკა ლდოკონენი, სალომე ბენიძე და ივა ფეზუაშვილი შედიოდნენ. ჟიურის მეხუთე წევრი გასული წლის გამარჯვებული იყო.

აღნიშნული ტრადიცია წელს ჩამოყალიბდა და კონკურსის ორგანიზატორების გადაწყვეტილებით, ყოველ წელს პირველი ადგილის მფლობელი ავტომატურად მომდევნო წლის ჟიურის წევრი გახდება.

კონკურსის ათმა ფინალისტმა, 8 საათის განმავლობაში, ჟიურის მიერ მიწოდებულ თემაზე ახალი ნაწარმოებები შექმნა. წელს კონკურსის ორგანიზატორებმა ფინალისტებს სიახლე შესთავაზეს, გასული წლებისგან განსხვავებით ლიტერატურულ შეხვედრაზე, რომელიც იმპროვიზაციული ტურის წინა საღამოს იმართება, ჟიურის წევრებმა მონაწილეებს კონკრეტული ფრაზის ნაცვლად ახალი ნაწარმოებების შესაქმნელად წერილები გადასცეს. სლოგანით „კედლის წერილები“ ლიტერატურული ჟიურის წევრებმა ფინალისტებისთვის ორ-ორი წერილი შექმნეს, მონაწილეებს მათი ლიტერატურული ინსპირაცია დაევალათ. ჟიურის ერთ-ერთმა წევრმა დავით ტურაშვილმა აღნიშნა, რომ: „წელს ძალიან კარგი ბავშვები იყვნენ. წინა წლებთან შედარებით აშკარა პროგრესია. გახდებიან თუ არა ეს ბავშვები მწერლები არ ვიცი, მაგრამ შემიძლია ვთქვა, რომ დავით გორგილაძე ყველაზე გამორჩეული იყო და ნამდვილად კარგი მწერალი გამოვა.“

კონკურსზე ჟიურის სხვა წევრმა მაკა ლდოკონენმა “შემოდგომის ლეგენდის” ისტორიაზეც ისაუბრა:

„ვიტყოდი, რომ კონკურსისადმი ინტერესი იმდენად დიდია და გადარჩევაც იმდენად მკაცრ პირობებში მიმდინარეობს, რომ შეუძლებელია შედეგი არაადეკვატური იყოს. ასე რომ, მონაწილეები ტრადიციულად მაღალ დონეზე არიან წელსაც.

დავინახე წერის სურვილი. დავინახე წიგნიერება, განათლების დონის შეფასების საშუალება მომეცა. ისიც გამოჩნდა, რომ ყველა სხვადასხვა მიზეზით წერს – ანუ განსხვავებული შთაგონების წყარო აქვს: ზოგს მდიდარი ფანტაზია, ზოგს პრაგმატული გონება, ზოგს კი მხოლოდ ჰოლივუდური თუ ევროპული ფილმების ყურებით მიუღია ყველაზე დიდი შთაბეჭდილება. გახდებიან თუ არა პოეტები ან მწერლები, ამას ერთი კონკურსი ვერ გადაწყვეტს და არც უნდა გადაწყვიტოს. ბევრჯერ იგრძნობა პოტენციალი, მაგრამ ავტორები იკარგებიან, ზოგჯერ პირიქითაც ხდება. შემოდგომის ლეგენდიდან „გამოსული“ ბევრი კარგი მწერალი გვყავს უკვე: მარიამ ბექაური უკვე ორი წიგნის ავტორია, მისი მოთხრობები ითარგმნება, ავღნიშნავდი ივა ფეზუაშვილსაც, დავით გორგილაძეს, თამარ ფოლადაშვილს, ანი ლაზვიაშვილს, – ეს ის სტუდენტები არიან, კარგად რომ გავიცანით და წერას აგრძელებენ. ეს კონკურსი აძლევს მათ პრაქტიკას, ურთიერთობის, გაცნობის საშუალებას, ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ლამაზ დღეებს, კონკურსები ტრადიციულად კარგ გარემოში იმართება და წერისთვის საუკეთესო პირობებია შექმნილი. მათ საზოგადოება იცნობს. ვფიქრობ, მიღწეულმა შედეგმა არ უნდა შეცვალოს მათი დამოკიდებულება წერისადმი. გავლენ თუ არა საპრიზო ადგილებზე, ამის მიხედვით არ უნდა გააგრძელონ მომავალი სამწერლობო საქმიანობა... ეს კონკურსი მათთვის საუკეთესო საშუალება უნდა იყოს თვითშეფასებისთვის, საკუთარი თავის გვერდიდან დანახვისთვის!“

დაჯილდოების საღამოზე იმპროვიზაციული ტურის საუკეთესო ნაწარმოებებისგან შექმნილი კრებულის პრეზენტაციაც გაიმართა. ბროშურა ფინალისტების ნაშრომებს და ჟიურის წერილებს მოიცავს. კონკურსის საუკეთესო ნაწარმოებების კრებული დაჯილდოებაზე მოსულ ყველა სტუმარს საჩუქარად გადაეცა.





# „მე, მოქალაქე, სტუდენტი“

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა ნაწილი ახალი პროექტის დაწყებას გეგმავს. პროექტს “მე, მოქალაქე, სტუდენტი” ჰქვია. მისი მიზანი თსუ-ში არსებული სტუდენტური ორგანიზაციების ერთგვარად “მრგვალი მაგიდის” გარშემო გაერთიანებაა, იმისათვის, რომ სტუდენტებისათვის საჭირბოროტო საკითხები და პრობლემები ერთობლივად, კოორდინირებული მუშაობის შედეგად გადაიჭრას. აქტუალურ საკითხებთან მიმართებაში კი თსუ-ის სტუდენტთა დიდი ნაწილის ერთიანი პოზიცია შემუშავდეს.

პროექტის იდეა სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტს გიორგი გრიგოლაშვილს ეკუთვნის, რომელიც ამავე დროს ორგანიზაციას, ინფორმაციული საზოგადოების განვითარების ინსტიტუტი - ISDI „სადისკუსიო კლუბი“ (socium.ge)-ს წარმოადგენს.

“თსუ-ში დაახლოებით 15 სტუდენტური ორგანიზაცია არსებობს. გვსურს ეს ორგანიზაციები ერთად შევკრიბოთ რათა ერთმანეთი გავიცნოთ. გავარკვიოთ, თუ რას წარმოადგენს თითოეული მათგანი. სტუდენტისათვის საინტერესო საკითხებზე შევჯერდეთ. საკმაოდ ხშირად, რაღაც საკითხებთან დაკავშირებით, სტუდენტთა პატარა ჯგუფის განცხადება, მთლიანად თსუ სტუდენტთა პოზიციად მიიჩნევა, რაც ასე არაა. სახელმწიფო უნივერსიტეტი არ უნდა ასოცირდებოდეს მხოლოდ რომელიმე კონკრეტულ ორგანიზაციასთან. მის შესახებ წარმოდგენა საზოგადოებას მხოლოდ ორი სტუდენტის საფუძველზე არ უნდა ექმნებოდეს”. – აცხადებს ინიციატივის ავტორი.

უნივერსიტეტის სტუდენტური ორგანიზაციების ჩართვა სტუდენტური პრობლემების მოგვარების პროცესში; უნივერსიტეტის მასშტაბით სტუდენტური ორგანიზაციების განცობა; ორგანიზაციების პრიორიტეტების და ღირებულებების გამოკვეთა; საერთო სტუდენტურ-საუნივერსიტეტო პრიორიტეტებზე შეთანხმება; პრობლემურ სიტუაციასთან მიმართებაში სამუშაო დღის წესრიგის განსაზღვრა; პრობლემურ სიტუაციასთან მიმართებაში სამუშაო ჯგუფების შექმნა. გაერთიანების ამ სახით ჩამოყალიბებული მიზნები, გიორგი გრიგოლაშვილის თქმით, სტუდენტური ორგანიზაციების ნაწილისთვის ცნობილი და მისაღებია. მათ შორის არიან სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის: „ნარინჯისფერი კლუბი“, “საქართველოს ახალგაზრდა სოციოლოგთა ასოციაცია – GYSA”, “ახალგაზრდა დიპლომატთა კლუბი”, “ფსიქოლოგთა კლუბი“ იურიდიული ფაკულტეტის: “მედიაციის კლუბი” და “ახალგაზრდა კონსტიტუციონალისტები არიან”.

სხვა ფაკულტეტების წარმომადგენლებთან შეხვედრა უახლოეს პერიოდში იგეგმება.

“ჩემთვის პროექტის სახელი უკვე მოსაწონია. იგულისხმება რომ სტუდენტი თავს ჯერ მოქალაქედ აღიქვამს, და შემდეგ უკვე სტუდენტად, ვიღაცის შვილად, ძმად და ა.შ. შესაბამისად, მას როგორც მოქალაქეს მეტი პასუხისმგებლობა ეკისრება. თანამშრომლობის ერთმანეთისათვის შეთავაზება კარგია, რადგან სტუდენტები დახმარებას არა ვიღაც ოფიციალურ პირს არამედ ერთმანეთს სთხოვენ. სტუდენტმა თავი არ უნდა მიაკუთვნოს რომელიმე სტრუქტურას, რომელიც რაღაც პრივილეგიებით სარგებლობს.” – მიიჩნევს თსუ რექტორის მრჩეველი, “თსუ-საბავშვო უნივერსიტეტის” კოორდინატორი მარინა ლომოური.

ამგვარი გაერთიანების იდეამ ზოგს სტუდენტური თვითმმართველობის მსგავსი ორგანიზაციის ასოციაცია გაუჩინა. თვითმმართველობის მსგავსი არ იქნება, რადგან მისგან განსხვავებული პრინიპებით იქმნება და იმუშავებს, აცხადებენ იდეის ავტორები. ყოველგვარი ეჭვის გაქარწყლება და პოზიციებზე შეჯერება საბოლოოდ მას შემდეგ იქნება შესაძლებელი, როდესაც ჩანაფიქრის შესაბამისად სხვადასხვა სტუდენტური ორგანიზაციები სახელმძღვანელოდ ერთობლივ მანიფესტს შეიმუშავებენ და მიიღებენ.

გაზეთი მომზადდა თსუ საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის მიერ. საკონტაქტო ინფორმაცია – ტელ: 2 22 23 91; ელ.ფოსტა: tsupr@tsu.ge; ვებ-გვერდი: www.tsu.edu.ge